საშუალო ყოველთვიური შემოსავლები და ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #44 / 24.04.2015

ერთ შინამეურნეობაზე საშუალო ყოველთვიური შემოსავლები და ხარჯები, რაც ცხოვრების დონის ერთ-ერთი ინდიკატორია, 2007 - 2013 წლების განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 2014 წლის შესაბამისი მაჩვენებლები ჯერ არ არის ცნობილი*.

2014 წელს გაზრდილია როგორც სამეწარმეო (9%), ასევე არასამეწარმეო (7%) სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ხელფასი 2013 წელთან შედარებით.

საშუალო ყოველთვიური შემოსავლები და ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, 2007-2013



წყარო: საქსტატი
* გამოქვეყნდება 2015 წლის 27 მაისს

2007-2013 წლებში ერთ შინამეურნეობაზე საშუალო ყოველთვიური შემოსავლების, ისევე როგორც ხარჯების ყოველწლიური დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ამ პერიოდში, 2013 წლის გარდა, ყოველწლიურად იზრდებოდა ფასებიც წინა წელთან შედარებით.

2013 წლის მდგომარეობით, ერთ შინამეურნეობაზე საშუალო ყოველთვიური შემოსავალები 887.2 ლარი, ხოლო საშუალო ყოველთვიური ხარჯები 871.1 ლარია. ერთ შინამეურნეობაზე საშუალო ყოველთვიური შემოსავალები საშუალო ყოველთვიური ხარჯებს ყოველთვის აღემატება, თუმცა მცირედით (დაახლოებით 20-30 ლარით), გარდა 2007-2008 წლებისა.

2013 წლის მდგომარეობით საშუალო ყოველთვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე 13%-ით (98.8 ლარი) არის გაზრდილი 2012 წელთან, ხოლო გაორმაგებულია 2007 წელთან შედარებით. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ერთ შინამეურნეობაზე საშუალო ყოველთვიური ხარჯების შემთხვევაშიც. აღნიშნული მაჩვენებელი 14%-ით (105 ლარი) გაიზარდა 2012 წელთან შედარებით, ხოლო თითქმის გაორმაგდა 2007 წელთან შედარებით. ფასების დონე კი 2013 წელს შემცირებულია 2012 წელთან შედარებით (-0.9%).

საშუალო ყოველთვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე, 2013



წყარო: საქსტატი

საშუალო ყოველთვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე, 2013

წყარო: საქსტატი

2013 წლის მდგომარეობით, შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავლების (887.2 ლარი) ძირითად წყაროებს წარმოადგენს ანაზღაურება დაქირავებული შრომიდან (33 %), პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები (14%), სესხი ან დანაზოგი (12%), საჩუქრად მიღებული ფული (12 %), არაფულადი სახსრები (9%) და შემოსავალი თვითდასაქმებიდან (8%). შემოსავლების სტრუქტურა 2012 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

აღნიშნულ პერიოდში შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური ხარჯების 77%-ს სამომხმარებლო ხარჯები წარმოადგენს. გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე (25%), დანაზოგსა და გასესხებაზე (14%), სხვა სამომხმრებლო ხარჯებზე (11%), არაფულად ხარჯებზე (10 %), ჯანდაცვაზე (8%), სათბობსა და ელექტროენერგიაზე (7.6%) და ტრანსპორტზე (7 %). განათლებაზე გაწეულ ხარჯებს ძალიან მცირე წილი აქვს (3%) შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური დანახარჯებში.

სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი, 2012-14



წყარო: საქსტატი

2014 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით სამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი 980 ლარს, ხოლო არასამეწარმეო სფეროში 903 ლარს შედგენს. აღნიშნული მაჩვენებლები 2014 წლის ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ-ს 15%-ს და 14%-ს წარმოადგენენ, შესაბამისად.

2014 წელს, 2013 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც სამეწარმეო სფეროში, ასევე არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი (9%; 7%). აღნიშნულ პერიოდში ფასების დონე 3.1%-ით გაიზარდა.

2013 წლის მდგომარეობით, დაქირავებით დასაქმებული (658 200) მოსახლეობა სამუშაო ძალის 32%-ს, ხოლო დასაქმებული მოსახლეობის 38%-ს წარმოადგენდა. 2014 წლის მაჩვენებელი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

სამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობების სახების მიხედვით, 2012-14



წყარო:საქსტატი

არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობების სახების მიხედვით, 2012-14



წყარო:საქსტატი

2014 წელს, სამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით ყველაზე მაღალანაზღაურებადი სექტორებია მშენებლობა (1164.3 ლარი), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (1153.3 ლარი), ოპერაციები უძრავი ქონებით (1098 ლარი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (1090.7 ლარი) და ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (1064.1 ლარი). ყველაზე დაბალანაზღაურებადია განათლება (486 ლარი). 2014 წელს საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი გაზრდილია თითქმის ყველა სექტორში 2013 წელთან შედარებით.

2014 წელს არასამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, ყველაზე მაღალანაზღაურებადი სექტორებია საფინანსო საქმიანობა (1595 ლარი), სახელმწიფო მმართველობა (1233 ლარი), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (834 ლარი). ყველაზე დაბალანაზღაურებადია განათლება (453 ლარი). აღნიშნულ პერიოდში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი გაზრდილია ყველა სექტორში, სოფლის მეურნეობის და უძრავი ქონებით ოპერაციების გარდა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014	IV 2014	2014
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1008.3	3680.8
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8 %	4.8 %
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202					4200
სიღარიბის დონე (რეგიტრირებული)	9.7 %	9.7 %					

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საპროგნოზო*